სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება № 03-05/2

აჭარისწყალი 18 მაისი 2011 წ.

ერთის მხრივ, სოფ. აჭარისწყლის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი *დირექტორის მ/შ ლელა გორგოშაძის* სახით და მეორეს მხრივ, *შ.პ.ს. „რომბეტროლ საქართველო"*(შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი *გენერალური დირექტორის* ალექსანდ ალბინის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია სააგტომობილო საწვავის(შემდგომში „საწვავი" ან „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად,(გამარტივებული შესყიდვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად)

1.2 შესყიდვის ობიექტია: 750 (შვიდასორმოცდაათი) ლიტრი დიზელი. 09/ 000650

2. საწვავის ფასი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში;.

ა) ერთი ლიტრი დიზელის ფასი შეადგენს 2,15 ლარს.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1612,5 (ერთიათასექვსასთორმეტი ლარი 50 თეთრი) ლარს, რაც შეიცავს დ.ღ.გ–ს, აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწიდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით.

4.2 საწვავის ტალონების შემსყიდველისათვის გადაცემა განხორციელდება ერთიანად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2011 წლის 24 მარტამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.3 საწვავის ტალონების ყოველ პარტიას უნდა ახლდეს სპეციალური საგადფასახადო ანგარიშ–ფაქტურა..

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილის შეკვეთიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიღება–შაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები თანხობრივ და ლიტრობრივ ერთეულებში

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. ტალონებზე აღნიშნული რეკვიზიტების გარეშე წარმოდგენილი ტალონი არ მიიღება და შესაბამისად საწვავი არ გაიცემა.

* ტალონის ნომერი
* გამყიდველის სახელწოდება

– მყიდველის სახელწოდება
* საწვავის რაოდენობა
* საწვავის სახეობა
* გაცემის თარიღი
* გამყიდველისა და მყიდველის ბეჭედი

5.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას გამართოს მყიდველის მიერ წარმოდგენილი ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საწვავის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება სათანადო წესით დამოწმებული ტალონის სარმოდგენილ ნებისმიერ პირზე.

5.4 ტალონი გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე და მხოლოდ გამყიდველის ავტიგასამართ სადგურებზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა გრაფიკი(ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საწვავის საფასური წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლის მიხედვით საწვავის საწვავის ტალონების გადაცემაზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 1(ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს :

– შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

–განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხლშეკრულების პირობების დაცვაზე.

–უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია

– წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

–დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

–მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით

– დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ ომ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლის უსაფრთხოება და სწვავის სათანადო ხარისხი.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია :

–გადასცეს შემსყიდველს საწვავის მიღებისათვის საჭირო ტალონების რაოდენობა.

– გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ववელა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს ,მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა , მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება , რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრუ;ებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.
8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია საწვავის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით.
8.6. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში , მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.
8.7. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პტოცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე(საწვავის ტალონების გატანის ვადა– 2011 წლის 24 მარტამდე)

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ფასების ცვლილების მექანიზმს არ ითვალისწინებს.

11ფორს–მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კონპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორც– მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების სესრულების კონტროლი

13.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ეკისრება შემსყიდველის მიერ შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველგვარი დაბრკოლებისა და

შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოხვრა.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი ულებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმიბის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია წართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოსერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“
სსიპ სოფ. აჭარისწყლის სკოლა
მის. ხელვაჩაური, სოფ. აჭარისწყალი
ტელ. 877 30 42 50
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „რესპუბლიკა ბანკის„ ბათუმის ფილიალი
ს/კ 248386777
ბ/კ REPLGE22
ანგ. ნომერი Ge49BR0500003408000085

დირექტორის მ/შ ლ. გორგოშაძე

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „ რომბეტროლ საქართველო..
მის: ქ. თბილისი,სანაპიროს ქ. #6
ტელ.910727,940778 ფაქსი 910763
საბანკო რეკვიზიტები
ს.ს. „საქართველოსბანკის“ ცენტრალური ფილიალ
ს.კ 204493002
ბ/კ: **BAGAGE22**
ანგ№ 119347600
გენერალური დირექტორი ალექსანდრ ალბინი

(ხელმოწერა)